არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის მოცულობა განსაზღვრულია მინიმუმ 120 სიტყვით. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ შეფასდება.

I კრიტერიუმი

№	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული.	3
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	2
3.	დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებული.	1
4	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ესეს სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
2.	ესეს სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები სწორად არ არის გამოყოფილი.	1
3.	ესეს სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა.	0

III კრიტერიუმი

№	პრობლემის გააზრება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობ-ლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	**ავტორი** ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობ-ლემატიკაში.	0

IV კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1.	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს დამაჯერებლობა აკლია.	3
4.	მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
5.	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია.	1
6.	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

V. კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	4
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	3
3.	ნაშრომში ძირითადად გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა შაბლონურია.	2
4	ნაშრომში ძირითადად არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა.	1
5	ნაშრომში არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

VI. კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	ქულები
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, არ გვხვდება სტილისტიკური ხარვეზი.	4
2	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
3.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
4.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
5.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია.	0

VIII. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	5
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	4
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	3
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	2
5.	არ არის დაშვებული **რვაზე** მეტი შეცდომა.	1
6.	დაშვებულია **რვაზე** მეტი შეცდომა.	0

IX. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	3
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	2
3	არ არის დაშვებული **რვაზე** მეტი შეცდომა.	1
4.	დაშვებულია **რვაზე** მეტი შეცდომა.	0

ფილოლოგებისთვის ესეს შეფასებისას იმოქმედებს განსხვავებული მე-7; მე-8; მე-9 და მე-10 კრიტერიუმი.

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა	ქულები
1	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული.	4
2	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე ხარვეზი.	3
3.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას.	2
4.	ნაშრომის აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა.	1
5.	ნაშრომი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

№	სტილი	ქულები
1	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, არ გვხვდება სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	1
4	თხზულება სტილისტურად გაუმართავია (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს).	0

IX კრიტერიუმი

№	მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი	ქულები
1.	არ არის ორზე მეტი შეცდომა.	3
2.	არ არის ოთხზე მეტი შეცდომა.	2
3.	არ არის ექვსზე მეტი შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

X კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის სამზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის ექვსზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0